

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ნიკო კვარაცხელიას
დაღა იზო ობაქა:



„ჩემი
შვილის
მკვლელებს გაბარინვა
მკვლელობის დამკვეთები
ელოდნენ“



გვ.5

სუთშაბათი, 14 აპრილი, 2022

№74 (8852)

ფასი: 80 თეთრი

„ქართული ოცნება“ ისე იქცევა, როგორც ისტორიკოსი არ დარჩება“




პაატა ზაქარეიშვილი: „ეკონომიკურ სანქციებზე მეტი
ძალა ექნება რუსეთის წინააღმდეგ, რომ გამოვიდეთ და
ვთქვათ, დღეს ჩვენ ისეთივე დაზიანებულები ვართ,
როგორც უკრაინა“



გვ.2

„ჩვენს ხელისუფლებას
კალუმნადური დამოკიდებულება
აქვს უკრაინის მიმართ“

გვ.3



ლელა ჯეჯელავა:
„ივანიშვილი
თავისი უხერხემლო
პოლიტიკით
გადარჩენას ცდილობს“



გვ.2

„საქართველოს
პარლამენტი
დღეს
კრემლის
აღმოსაბრუნო
ფილიალია“

მურმან დუმბაძე: „არავითარი რევოლუცია არ მზადდება
საქართველოში. ჩვენ გვჭირდება ვადამდელი,
რიგგარეშე თავისუფალი არჩევნები“

„ქიმიური იარაღის გამოყენება საქართველოს
სამართლის სერიოზული დარღვევაა“

გვ.3

ვანტანგ მაისაია: „პუტინმა
დანაშაული ორი მიმართულებით
ჩაიდინა – მასობრივად
ადამიანების მხეცური
მკვლელობა და მასობრივი
განადგურების იარაღის
კომპონენტების გამოყენება“



უკრაინაში
ომის მეორე
ეტაპი იწყება



გვ.4

რაზე ამყარებენ იმედს უკრაინელი ექსპერტები?



ირაკლი ღარიბაშვილი
ეროვნული
უშირასობის
საკითხებში ეთო-ს
უმაღლეს კომისარს,
კაირაბ
აბდრახმანოვს
შეხვდა

გვ.4



ვანტანგ
გომელაური
საუცხოო
სამართლის
სამსახურის
უფროსს
შეხვდა

გვ.5



2 უკრაინაში
შეიქმნება ორი
სხვადასხვა
დაღმადმობა
გაემგზავროს

5 პროფესიული
პასუხისმგებლობა
14 ექიმს
დაეკისრა

5 გლდანში
მ.ნ.-მ
უკრაინელის
მანქანა
გაქურდა

6 ზალდენსკი: „ვითავეზოვ რუსეთს –
გაძვალეთ მედვედევს ჩვენს
დაზვერვებულ ბიჭებსა და მოგოვებზე“
ჯო ბაილენა უკრაინაში მომხდარი
გენოციდად მოიხსენია



ზელენსკი: „პათაზოზი რუსეთს — გახვალთ მედვედუვი ჩვენს დაზვერვებულ ბიჭებსა და გომიკაზა“



უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი რუსეთს ოლიგარქ ვიქტორ მედვედუვი-კის უკრაინულ ტყვეებზე გაცვლას სთავაზობს. — თუ მედვედუვი თავად აირჩია სამხედრო ფორმა, ნიშნავს, რომ ის ექვემდებარება ომის წესებს. ვთავაზობ რუსეთის ფედერაციას: გაცვალეთ ეს თქვენი ბიჭი ჩვენს ბიჭებსა და გომიკაზაზე, რომლებიც ახლა ტყვეობაში არიან. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა სამართალდამცავმა უწყებებმა და სამხედროებმა განიხილონ ეს შესაძლებლობა, — განაცხადა ზელენსკიმ.

შეგახსენებთ, მანამდე ცნობილი გახდა, რომ უკრაინაში ვლადიმერ პუტინთან დაახლოებული პოლიტიკოსი, ოლიგარქი ვიქტორ მედვედუვი დააკავეს. როგორც უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ სოციალურ ქსელში დაწერა, მედვედუვი სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს.

ჩაჭრა დაინგნა პუტინმა ბენარალი დეორნიკოვი



გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტრო ქვეყნის დაზვერვაზე დაყრდნობით ახალ მონაცემებს აქვეყნებს. უწყების ინფორმაციით, რუსეთის მიერ არმიის გენერალ ალექსანდრ დეორნიკოვის დაინგნა უკრაინის ომის მეთაურად წარმოადგენს ძალის ცენტრალიზებისა და კონტროლის დამყარების მცდელობას.

„ბევრი რუსი გენერლის მსგავსად, დეორნიკოვს აქვს სარდლობის გამოცდილება სირიაში. გარდა ამისა, 2016 წლიდან ის მეთაურობდა რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქს, რომელიც ესაზღვრება უკრაინის დონბასის რეგიონს“ — ნათქვამია დაზვერვის განცხადებაში. მისივე ინფორმაციით, რუსეთის ხელისუფლების განცხადებით, დონბასში მათ გარკვეულ წინსვლას მიაღწიეს. „დეორნიკოვის არჩევა კიდევ უფრო ცხადყოფს, თუ როგორ აიძულა უკრაინის მტკიცე წინააღმდეგობამ და ომის არაეფექტურმა დაგეგმვამ რუსეთი, თავისი მიზნები გადაეფასებინა“ — წერია დაზვერვის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ჯო ბაიდენმა უკრაინაში მოხდარი გენოციდის მოიხსენია



ამერიკის შერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გაზის ტარების ზრდაზე საუბრისას უკრაინაში მოხდარი გენოციდის მოიხსენია. ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ამერიკელების ბიუჯეტი არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, ჩაიდენს თუ არა დიქტატორი სხვა ქვეყანაში გენოციდს.

— თქვენი ოჯახის ბიუჯეტი, თქვენი ავზის შევსების უნარი, არც ერთი არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, გამოაცხადებს თუ არა დიქტატორი ომს და ჩაიდენს თუ არა გენოციდს ნახევარი მსოფლიოს მოსორებით, — განაცხადა ბაიდენმა. მისი თქმით, ის სტრატეგიული რეზერვებიდან დღეში ერთი მილიონი ბარელი ნავთობის მოხარების განკარგულებას გასცემს. — პუტინის მიერ ფასის გაძვირებასთან დაკავშირებით, ნებადართული ნავთობის სტრატეგიული რეზერვიდან დღეში ერთი მილიონი ბარელის მოხარების განკარგულებას გავცემ, — აღნიშნა ბაიდენმა.

საურთიანეთმა 25 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების რუსული აქტივები გაყინა



საფრანგეთის ფინანსთა სამინისტრომ იმ რუსული აქტივების დეტალური სია გამოაქვეყნა, რომელიც რუსეთში უკრაინის შეჭრის შემდეგ დააყინდა. გაყინული აქტივების საერთო ღირებულება 23.7 მილიარდ ევროს, ანუ 25.6 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

უწყების ცნობით, დაყინდა რუსული აქტივების ძირითად ნაწილები. უწყების ცნობით, დაყინდა ნაწილები რუსული აქტივების ძირითად ნაწილებში. ნილოს რუსეთის ცენტრალური ბანკის კუთვნილი აქტივები შეადგენს, რომლის ღირებულებაც 22.8 მილიარდი ევროა.

ნიუ-იორკის მებრუნადგურში სროლა იყო დაჭრილია 13 ადამიანი



ნიუ-იორკის 36-ე ქუჩის მეტროსადგურში სროლა იყო. არსებული ინფორმაციით, დაჭრილია სულ ცოტა 13 ადამიანი. ბრუკლინში ეს ტერიტორია „სანსეტ პარკის“ რაიონად არის ცნობილი. მეტროსადგურში აღმოჩენილია ასაფეთქებელი მოწყობილობებიც.

უკრაინაში 24 თებერვლიდან, რუსეთის შეჭრის დღიდან, სულ მცირე 20 ყურნალისტი მოკლეს

მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ უკრაინის „ყურნალისტი ეროვნულ კავშირში“ აცხადებენ. ორგანიზაციამ გამოაქვეყნა დალუპული ყურნალისტების სია და განმარტა, რომ სიაში შესული ყურნალისტების გარდაცვალება გენერალური პროკურატურის მიერაა დადასტურებული. „ყურნალისტი ეროვნულ კავშირში“ აცხადებენ, რომ ზოგიერთი მათგანი უცხოელი ყურნალისტი.

პროფესიული პასუხისმგებლობა 14 ექიმს დააკისრა

ჯანდაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭომ პროფესიული პასუხისმგებლობა 14 ექიმს დააკისრა. ამის შესახებ ინფორმაციას სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო ავრცელებს. მისივე ინფორმაციით, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება, სხვადასხვა ვადით შეუჩერდა 7 ექიმს, მათ შორის 4 ექიმს 6 თვით, 3 ექიმს კი 1 თვის ვადით.

როგორც სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში აღნიშნავენ, პროფესიული განვითარების საბჭომ 7 ექიმს წერილობითი გაფრთხილება მისცა. „ჯანდაცვის სამინისტროში პროფესიული განვითარების საბჭოს შემადგენელი წევრებია გაიმართა. შემადგენელი მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ შესწავლილი 7 საკითხი განიხილეს და 19 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობაზე იმსჯელეს. საბჭოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება, სხვადასხვა ვადით შეუჩერდა 7 ექიმს, მათ შორის 4 ექიმს 6 თვით, 3 ექიმს კი 1 თვის ვადით. ამასთანავე, ექიმებს დაევალათ პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გაკლა. პროფესიული განვითარების საბჭომ 7 ექიმს წერილობითი გაფრთხილება მისცა. საბჭომ გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღო. პროფესიული განვითარების საბჭო ექიმთა პროფესიული საქმიანობის საფუძვლიან და დეტალურ შესწავლას უზრუნველყოფს. განიხილავს პაციენტისთვის განუვლი სამედიცინო მომსახურების ხარისხს, სამედიცინო პერსონალის შესაძლო გადაცდომებს, პროფესიული პასუხისმგებლობებსა და არაკეთილსინდისიერ/არაეთიკურ, პაციენტთან შეუსაბამო მოპყრობის შემთხვევებს“ — აღნიშნულია ინფორმაციაში.

ორთაქალაქი მოხდარი მკვლელობისთვის დააკავებენ 2 პირი



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2003 წელს დაბადებული ბ.ქ. განზრახ მკვლელობის და დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ხოლო 2001 წელს დაბადებული ა.კ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის თბილისში დააკავეს. უწყების ცნობით, დანაშაულები 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. „გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 12 აპრილს, თბილისში, ორთაქალის ქუჩაზე, რამდენიმე პირს შორის მოხდარი ურთიერთშელაპარაკების შედეგად დაწყებული ფიზიკური დაპირისპირებისას, ბრალდებულმა ბ.ქ.-მ 1989 წელს დაბადებულ დ.მ.-ს და 1988 წელს დაბადებულ ა.მ.-ს ცივი იარაღით სხეულებზე ჩრილობები მიაყენა. მიყენებული დანაშაულების შედეგად, დ.მ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, ხოლო ა.მ.-ს გადაუდებელი ოპერაცია ჩატარდა. ინციდენტში მონაწილე ა.კ. მკვლელობის და დაჭრის ფაქტს შეესწრო, თუმცა პოლიციას მოხდარი დანაშაულის შესახებ არ შეატყობინა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბ.ქ. და ა.კ. ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 19-109-ე მუხლებით და 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობასა და დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობას და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას გულისხმობს“ — აღნიშნულია შს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სამმეტრიანმა ალიგატორმა სახლში შეაღწია და ზარალი მიაყენა

ამერიკის ფლორიდის შტატში სამმეტრიანი გაყინული ალიგატორი ახალ აშენებულ სახლში შევიდა გასათბობად და თავისი ქმედებით შენობას 2,5 ათასი დოლარის ზარალი მიაყენა. 3,6 მეტრი სიგრძის ალიგატორი შენობაში მუშამ აღმოაჩინა, რომელიც მშენებარე ობიექტზე რკინის დასაკეცი დარბაზების დასაყენებლად მუშაობდა. როგორც კი მან შეგნით მტაცებელი რეპტილია შენიშნა, მაშინვე ამის შესახებ ხელმძღვანელობას აცნობა. საავარუდოდ, რეპტილია შენობაში ყინვისგან თავის დასაღწევად შევიდა, ხოლო გარეთ გამოსვლა იმიტომ ვეღარ მოახერხა, რომ ძლიერმა ქარმა კარი მიაჯახუნა და ის ჩაიკეტა. შემთხვევის ადგილზე მშენებლობის უფროსი მეთიუ გუდვინი ალიგატორებზე პროფესიონალი მონადირის თანხლებით მივიდა. ამ უკანასკნელმა რეპტილიას კისერზე ქამანდი გადააცვა და მიუხედავად მისი დიდი წინააღმდეგობისა, შენობიდან გარეთ გამოიყვანა და ავტომობილის საბარგულში მოათავსა. ალიგატორი შენობიდან მოშორებით გადაიყვანეს და წყალსატევში უვნებლად გაუშვეს.



უცნობმა არსებამ უზარმაზარი ზვიგენი მოკლა



ავსტრალიის სანაპიროსთან ორი მეგობრის მიერ დაჭერილი ზვიგენი უცნობმა წყალქვეშა მტაცებელმა მოკლა, რომელიც მას ზომით ბევრად აღემატებოდა. ვიდეო, რომელზეც ნახევრად შეჭმული ზვიგენია გადაღებული, იუთუბში იქნა განთავსებული. ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ ცდილობენ მეთევზეები სემი ჰიტცკე და შონ უელი წყლიდან საკუთარი ნადავლის ამოღებას. ისინი დაჭერულ ზვიგენს ოთხსაათ-ნახევარს ებრძოდნენ. ბოლოს და ბოლოს, მათი მცდელობა წარმატებით დასრულდა. როდესაც ჰიტცკემ ნადავლი წყლიდან ამოათრია, აღმოჩნდა, რომ ვილაცამ ზვიგენს სხეულის დიდი ნაწილი მოაჭამა. — ეს ეპიკურია, უბრალოდ, ეპიკური. მისი სხეულის სამი მეოთხედი მოჭმულია. ეს წყლის სიღრმეში ბინადარი ნამდვილი მონსტრის ნამოქმედარია, — განაცხადა ავსტრალიელმა. უცნობი რჩება, თუ ვინ მოკლა უზარმაზარი მტაცებელი თევზი. — როგორც ჩანს, მასზე სხვა მტაცებელმა ინადირა, — განაცხადა ჰიტცკემ. ვიდეორგოლის კომენტარში კი ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა ვარაუდი გამოთქვა, რომ ეს შესაძლოა კალმარის ნამოქმედარი იყოს, ვინაიდან დაჭერილი ზვიგენისთვის მიყენებული დანაშაულები სხვა ზვიგენის ნამოქმედარს არ ჰგავს.

ქალს მდიდრული სახლის მოგებაზე ინფორმაცია ხუმრობა ეგონა

ბრიტანეთის შრომის საგრაფოს ქალაქ ტელფორდის მკვიდრმა მიღებულ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მან მდიდრული სახლი მოიგო, ხუმრობად ჩათვალა. 59 წლის კეტრინი კარვარდინამ, რომელიც ადრე მედდად მუშაობდა, 20-ფუნტიანი ლატარიის ბილეთი იყიდა. პირველ აპრილს, როდესაც ის მეუღლესთან ერთად იტალიაში ისვენებდა, მასთან სახლში მოულოდნელად ლატარიის ორგანიზატორები მივიდნენ. მათ კარვარდინის ქალიშვილებს, რომლებმაც კარი გაუღეს, აცნობეს, რომ მათმა დეიამ მდიდრული სახლი მოიგო. როდესაც მათ შეიტყვეს, რომ გათამაშების გამარჯვებული სახლში არ იმყოფებოდა, კარვარდინის ვიდეოზარი დაუკავშირდნენ. თავდაპირველად ქალმა აღნიშნული ზარი შეილებს მონყოილად ხუმრობად ჩათვალა და არ დაუჯერა, მაგრამ უზომოდ გაუხარდა, როდესაც დარწმუნდა, რომ ეს სიმართლე იყო და ახლა მართლაც სამ მილიონ ფუნტ სტერლინგად ღირებული ბინის მფლობელი გახლდათ. ახალი სახლი მთლიანად განწყობილია ავეჯით, აქვს ტერასა, ხედებით ტბაზე, ბუხარი, სახლის კინოთეატრი, საუნა და სპორტული დარბაზი. გარდა ამისა, ქალი ნაღდი ფულით 20 ათას ფუნტ სტერლინგსაც მიიღებს.



მამაკაცმა საცოლეს ქორწილში პორნოვარსკვლავის მიწვევა აუკრძალა

ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა სოციალურ ქსელებში ისაუბრა შეყვარებულთან იმ უთანხმოების თაობაზე, რომლის გამოც, საქმრომ მას ქორწილში მისი ნაცნობი პორნოვარსკვლავის მეჯვარის სახით დაპატიჟება აუკრძალა. საუბარია საპატარძლოს ერთ-ერთ უახლოეს მეგობარზე. მისი ვინაობის დაუსახელებლად, ქალის საქმრომ განაცხადა, რომ ის ცნობილი პორნოვარსკვლავია. ის შიშობს, რომ ბევრი სტუმარი მას ამოიცნობს. მან ასევე განმარტა, რომ მის ნათესავეს შორის ბევრია ღრმად მორწმუნე ადამიანი. მისი აზრით, მისმა ქორწილში გამოჩენამ შესაძლოა სტუმრებს ყურადღება გაუფანტოს და სიძე-პატარძალს ყურადღება აღარც კი მიაქციონ. მამაკაცმა ასევე განაცხადა, რომ ის არ განსჯის შეყვარებულის მეგობრის საქმიანობის სფეროს. — მაგრამ ჩემი ოჯახი იმდენად რელიგიურია, რომ დედაჩემმა განაცხადა, რომ თუ ქორწილი ეკლესიაში არ გაიმართება, მაშინ მას არ დაესწრება. მესმის, რომ ეს სულელურად გამოიყურება, მაგრამ რას ვიზამ, ასეთია ჩემი ოჯახი, — განაცხადა მამაკაცმა. მისივე თქმით, მისი თხოვნა საცოლეს არ მოეწონა და უპასუხა, რომ ის მისი ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარია და დედამისის გულის მოსაგებად მის დაპატიჟებაზე უარს არ იტყვის. მამამ მამაკაცმა საცოლეს შეახსენა, რომ ის მის მოთხოვნას დათანხმდა, რომ ხელისმომკიდედ არ მოეყვანა თავისი ის მეგობარი, რომელმაც ვილაცას უღალატა.

